სტრესოგენული ფაქტორების ზეგავლენა შფოთვის მქონე ადამიანებზე - ფსიქოლოგიური და ნეიროფიზიოლოგიური მიდგომა

ეკატერინე ბურკიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება შფოთვის მქონე ადამიანებში ემოციების გენერაციისა და მისი შეფასების თავისებურებების გარკვევას. აღნიშნული საკითხი გამოვიკვლიეთ კომპლექსური მიდგომით, ფსიქოლოგიური და ნეიროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. გამოვყავით ცდისპირები სიტუაციური და პიროვნული შფოთვის მაღალი მაჩვენებლით. ეს პარამეტრი შეფასდა ფსიქოლოგიური კითხვარით. ცდის პირებს მივაწოდეთ ვიზუალური სტრესორები და ვთხოვდით შეეფასებინათ თითოეული სტრესორი ლაიკერტის შკალით ოთხი ბაზისური ემოციის მიხედვით: შიში, ბრაზი, ზიზღი, სევდა. მიღებული მონაცემები დავთვალეთ რაოდენობრივი მეთოდით და პარალელურად გავაანალიზეთ აღნიშულ ჯგუფებში ცდისპირების თავის ტვინის აქტივობა ელექტრო-ენცეფალოგრაფიული (ეეგ) მეთოდით, სტრესორის მიწოდებამდე, მიწოდების დროს და მას შემდეგ. აღმოჩნდა, რომ სიტუაციური და პიროვნული შფოთვის ცდის პირები ერთნაირად აფასებდნენ სტრესორს, თუმცა ბრაზის ინტენსივობა ამ ჯგუფებში განსხვავებულად გადანაწილდა. ასევე, ჯგუფები განსხვავდებოდნენ ეეგ პარამეტრებით. კერძოდ, სტრესორის მიწოდების ფონზე და მას შემდეგ, ლიმბური სისტემის - ემოციური გენერაციის პირველადი სტრუქტურების აქტივობის ამსახველი დელტა და თეტა რითმების კლება დაფისქირდა ცდისპირთა ორივე კატეგორიაში, მაგრამ სიტუაციური შფოთვის ფონზე ქერქული - კოგნიტური აქტივობის ამსახველი ბეტა და გამა რითმების მატება პიროვნული შფოთვის ფონზე ძლიერად იყო გამოხატული და ლოკალიზებულ თავის ტვინის ჰემისფეროების შუბლის წილში, ხოლო სიტუაციური შფოთვის ფონზე უფრო სუსტი და დიფუზური. სავარაუდოდ, პიროვნული შფოთვის ფონზე სტრესორის საპასუხოდ სწრაფად და ძლიერად აქტივდება შუბლის წილის ემოციის მაკონტროლებელი მექანიზმი, ხოლო სიტუაციური შფოთვის ფონზე ეს ნაკლებად ხდება, რის გამოც ამ მეორე შემთხვევაში რთულდება გამკლავება სტრესორთან. **საკვანძო სიტყვები:** ***შფოთვა, სტრესოგენი, ვიზუალური სტიმული, ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ)***

სარჩევი

ცხრილები და ილუსტრაციები 4

შესავალი 5

საკითხის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე 12

კვლევის მიზანი 12

კვლევის ამოცანები 13

მეთოდები და მასალები 14

ექსპერიმენტული გარემო 15

შფოთვითი მდგომარეობა 16

შფოთვის ფსიქოლოგიური ასპექტები 18

შფოთვის ფიზიოლოგიური ასპექტები 19

შფოთვის ენცეფალოგრაფია 20

სტრესოგენის მოქმედება და პიროვნული თავისებურებები 23

ვიზუალური სტრესოგენი 25

კვლევის შედეგები 27

შედეგების ინტერპრეტაცია 30

კვლევის შეზღუდვები 35

დასკვნა 35

ბიბლიოგრაფია 37

დანართი 39